ვილნიუსის დეკლარაციის თანაავტორობისთვის, ასევე ქრონიკული რესპირატორულ დაავადებებთან (CRD) ბრძოლის მეთოდის გაძლიერებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე

Sopo Belkania

Wed 4/25/2018 3:25 PM

To:Amiran Gamkrelidze <A.Gamkrelidze@ncdc.ge>; 'Marina Darakhvelidze (mdarakhvelidze@moh.gov.ge)' <mdarakhvelidze@moh.gov.ge>;

Cc:Maia Lagvilava (mlagvilava@moh.gov.ge) <mlagvilava@moh.gov.ge>;

1 attachment

ვილნიუსის დეკლარაციის თანაავტორობისთვის, ასევე ქრონიკული რესპირატორულ დაავადებებთან (CRD) ბრძოლის მეთოდის გაძლიერებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე.djvu;

მოგესალმებით,

მიმდინარე წლის მარტში ლიტვის პარლამენტში ჩატარდა ევროკავშირის სამიტი Multisectoral care pathways embedding guided self-management, mHealth and air pollution in chronic respiratory diseases, რომლის თავმჯდომარე იყო პროფ. არუნას ვალიულისი. სამიტის შემდეგ შემუშავდა ე.წ. ვილნიუსის დეკლარაციის დრაფტი, რომელსაც დღევანდელი მდგომარეობით ხელს აწერს აღმოსავლეთ ევროპის სამი ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრი, ევროპარლამენტის ორი წევრი, ევროკომისარი ჯანდაცვის საკითხებში, ევროპის რესპირაციული საზოგადოების პრეზიდენტი.
პროფ. ვალიულისმა შემოგვთავაზა, რომ დეკლარაციაზე ხელი მოეწერა საქართველოს ჯანდაცვის მინისტრსაც, რაც მნიშვნელოვანი დადასტურება იქნება ჩვენი ქვეყნის მონაწილეობისა გარემოს დაცვის და ე.წ. მობილური ჯანმრთელობის (mHealth) ახალ ევროპულ კონცეფციაში.
გარდა ამისა, დაგეგმილია, რომ ეს დეკლარაცია წარდგენილი იყოს, როგორც ოფიციალური დოკუმენტი ქრონიკულ არაგადამდებ დაავადებებისადმი მიძღვნულ გაეროს-ს სამიტზე ნიუ-იორკში 2018 წლის სექტემბერში.

თანდართული ფაილით გიგზავნით დეკლარაციის დრაფტს. გთხოვთ მომაწოდოთ თქვენი მოსაზრება საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის დეკლარაციაზე ხელის მოეწერასთან დაკავშირებით ხვალ, 25 აპრილს, 13:00 საათამდე.

თანხმობის შემთხვევაში ბატონი დავითის სახელით უნდა გავაგზავნოთ მონაწილეობის წერილი.

საუკეთესო სურვილებით,

სოფო ბელქანია

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
აკ. წერეთლის გამზირი 144, თბილისი, საქართველო, 0159

მობ: +995 599 223232

საქართველოს შრომის
ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის
სამინისტრო